5.16.2 ნოტარიუსის მიერ და ნოტარიუსმა უნდა დაადასტუროს აქციონერთა საერთო კრების ამგვარი ოქმი.

5.17 აქციონერთა საერთო კრების ოქმი უნდა განსაზღვრავდეს:

5.17.1 აქციონერთა საერთო კრების ადგილს და დროს;

5.17.2 აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგს;

5.17.3 აქციონერთა საერთო კრების ქვორუმს;

5.17.4 საკითხებს, რასთან დაკავშირებითაც ტარდება კენჭისყრა და კენჭისყრის შედეგებს; და

5.17.5 აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

5.18 გარდა იმ შემთხვევისა რაც მოცემულია წესდების 10.8.1 პუნქტში, ან წესდების სხვა პუნქტებში, აქციონერთა საერთო კრების მიერ ყველა გადაწყვეტილება მიიღება კომპანიის აქციონერების 100%-ით (ასი პროცენტი).

5.19 ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები წინამდებარე წესდებაში ნებისმიერ სხვა ადგილას დასახელებული საკითხებთან ერთად, განეკუთვნება აქციონერთა საერთო კრების ექსკლუზიურ კომპეტენციას:

5.19.1 კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალის ზრდა ან კლება;

5.19.2 აქციონერების მიერ კომპანიისათვის გადახდების მოთხოვნა;

5.19.3 სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დამტკიცება და გათავისუფლება მე-6 პუნქტის თანახმად;

5.19.4 ამ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომელიც კომპანიას გააჩნია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმართ და წარმოადგენს კომპანიას ნებისმიერი სამართალწარმოების დროს (მათ შორის სასამართლო და საარბიტრაჟო) სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის წინააღმდეგ;

5.19.5 წესდების და ნებისმიერი სახის სადამფუძნებლოს დოკუმენტის და პროცედურის წესების ცვლილებები;

5.19.6 დივიდენდების განაწილება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი განაწილება ინიცირებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ;

5.19.7 კომპანიის ტრანსფორმაცია, კონსოლიდაცია, შერწყმა, გაყოფა, დახურვა ან ლიკვიდაცია, ან კომპანიის რეორგანიზაცია სხვა კორპორაციული ფორმად; და

5.19.8 ყველა გადაწყვეტილება, რომელსაც მოჰყვება შედეგი, რომელიც სცილდება კომპანიის ჩვეულებრივი, სამუშაო ოპერაციების ფარგლებს.

5.20 კომპანიას შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი გარიგება, რომელიც შედის აქციონერთა ექსკლუზიურ კომპეტენციაში წინამდებარე წესდების 5.19 პუნქტის თანახმად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მიიღებს აქციონერთა საერთო კრების წინასწარ წერილობით თანხმობას/გადაწყვეტილებას გარიგების/საკითხების განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელიც შედის აქციონერთა საერთო კრების ექსკლუზიურ კომპეტენციაში.

6. სამეთვალყურეო საბჭო

6.1 სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ზედამხედველობაზე და მის საქმიანობაზე წინამდებარე წესდების თანახმად.

6.2 სამეთვალყურეო საბჭოში უნდა იყოს 3 (სამი) წევრი.

6.3 აქციონერთა საერთო კრებაზე, „ჯი სი ეფ" და აქსისი ხმას აძლევენ „ჯი სი ეფ"-ის მიერ წარდგენილი სამეთვალყურეო საბჭოს 2 (ორი) წევრის დანიშვნას (**"ჯი სი ეფ-ის საბჭოს წევრები"**).

6.4 აქციონერთა საერთო კრებაზე, „ჯი სი ეფ" და აქსისი ხმას აძლევენ აქსისის მიერ წარდგენილი სამეთვალყურეო საბჭოს 1 (ერთი) წევრის დანიშვნას (**"აქსისის საბჭოს წევრი"**).

6.5 აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია გადააყენოს „ჯი სი ეფ"-ის საბჭოს წევრები, თუ ასეთი გადაყენება ინიცირებულია „ჯი სი ეფ"-ის მიერ. თუ „ჯი სი ეფ"-ი ინიციატივით გამოდის „ჯი სი ეფ"-ის საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, მაშინ „ჯი სი ეფ"-ი და აქსისი ხმას აძლევენ სამეთვალყურეო საბჭოს ამ წევრების გათავისუფლებას შესაბამის აქციონერთა საერთო კრებაზე.

6.6 აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია გადააყენოს აქსისის საბჭოს წევრი, თუ ასეთი გადაყენება ინიცირებულია აქსისის მიერ. თუ აქსისი ინიციატივით გამოდის აქსისის საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, მაშინ „ჯი სი ეფ" და აქსისი ხმას აძლევენ სამეთვალყურეო საბჭოს ამ წევრის გათავისუფლებას შესაბამის აქციონერთა საერთო კრებაზე.

6.7 თავმჯდომარე დასახელებული უნდა იქნას „ჯი სი ეფ"-ის მიერ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შემადგენლობიდან.

6.8 თუ სხვაგვარად არ არის გადაწყვეტილი აქციონერთა საერთო კრების მიერ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა ხდება განუსაზღვრელი ვადით.

6.9 სამეთვალყურეო საბჭოში არჩეული პირები შეიძლება არჩეული იქნან ხელმეორედ შეუზღუდავი რაოდენობით.

6.10 სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება გადადგეს ნებისმიერ დროს, თუმცა უნდა იმუშაოს მინიმუმ 1 (ერთი) თვის განმავლობაში თავმჯდომარისათვის გადადგომის შესახებ წინასწარი შეტყობინების წარდგენამდე. თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში გადადგომის შესახებ წინასწარი შეტყობინება წარდგენილი უნდა იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს დარჩენილი ერთერთი წევრისათვის.

6.11 სამეთვალყურეო საბჭოს წევრს შეუძლია ერთდროულად იმუშაოს კომპანიის დირექტორის თანამდებობაზე.

6.12 თავმჯდომარემ ორგანიზება უნდა გაუწიოს სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობას, მოიწვიოს და უხელმძღვანელოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს, უზრუნველყოს ოქმების შედგენა სხდომის მსვლელობისას, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორებს შორის ურთიერთქმედება.

6.13 თავმჯდომარე უფლებამოსილია განახორციელოს კანონმდებლობის იმპერატიული წესებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

6.14 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა უნდა ჩატარდეს მინიმუმ თვეში ერთხელ კომპანიის იურიდიულ მისამართზე ან ნებისმიერ სხვა ადგილას სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით და უნდა მოიწვიოს თავმჯდომარემ. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა შეიძლება მოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერმა წევრმა, აქციონერმა ან დირექტორებმა. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევის მოთხოვნა უნდა გაიგზავნოს თავმჯდომარესთან. ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში თავმჯდომარე გაუგზავნის წერილობით შეტყობინებას სამეთვალყურეო საბჭოს მოწვევის თაობაზე სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომამდე სულ მცირე 8 (რვა) კალენდარული დღით ადრე. 19.4 პუნქტის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შეუძლიათ ხმათა უმრავლესობით დაეთანხმონ სხდომის მოწვევას და ჩაატარონ სხდომა მოკლე დროში.

6.15 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევის შესახებ 6.14 პუნქტის შესაბამისად გაგზავნილ წერილობით შეტყობინებას თან უნდა ახლდეს:

6.15.1 დღის წესრიგი, რომელშიც განსაზღვრული იქნება სხდომაზე განსახილველი საკითხები საკმარისად დეტალურად; და

6.15.2 სხდომაზე განსახილველი შესაბამისი დოკუმენტების ასლები (იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია).

6.16 სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი უფლებამოსილია შესთავაზოს ახალი საკითხების შეტანა დღის წესრიგში ფორმალური შეტყობინების საფუძველზე სამეთვალყურეო საბჭოს სხდომამდე სულ მცირე 3 (სამი) დღით ადრე.

6.17 სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება წარმოდგენილი იყონ სხვა პირების მიერ მინდობილობის საფუძველზე.

6.18 სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა შეიძლება ჩატარდეს საკონფერენციო ზარის ან ვიდეო-კონფერენციის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას წინამდებარე 6.18 პუნქტის თანახმად, თავმჯდომარე ხელს აწერს ასეთ გადაწყვეტილებას, თავის ხელმოწერას ამოწმებს ნოტარიულად და უგზავნის სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ასლს.

6.19 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ქვორუმის შემთხვევაში.

6.20 თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული წესდებით, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ქვორუმი შედგება თუ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას ესწრება ან წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უმრავლესობა, სადაც დამსწრეებში აუცილებლად უნდა შედიოდეს აქსისის საბჭოს წევრი.

6.21 პუნქტი 6.20 არ ვრცელდება ნებისმიერ იმ შემთხვევაზე:

6.21.1 რომელიც გათვალისწინებულია 5.14, 6.32, 7.4, 10.7, 10.8.2, 10.8.3, 10.25, 10.26, 10.29, 10.30, 10,31 და 10.32 პუნქტებით; ან

6.21.2 როცა ხდება ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის ან ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცება; ან

6.21.3 რომელთა მიმართებაშიც წესდების სხვა მუხლების მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოს ქვორუმთან დაკავშირებით 6.20 პუნქტისაგან განსხვავებული წესია დადგენილი.

მიუხედავად ამ წესდების ნებისმიერი სხვა მუხლისა, იმ საკითხებზე, რომელიც გათვალისწინებულია ამ წესდების 6.21.1, 6.21.2 და 6.21.3 პუნქტებით, სამეთვალყურეო საბჭოს შეკრებისათვის დადგენილი ქვორუმის მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნება, თუკი სამეთვალყურეო საბჭოს ასეთ შეხვედრას ესწრება ჯი სი ეფ-ის საბჭოს ორივე წევრი ან ისინი წარმოდგენილნი არიან ასეთ შეკრებაზე.

6.22 ნებისმიერი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, სამეთვალყურეო საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას მარტივი უმრავლესობით, რომელი უმრავლესობაც გულისხმობს ჯი სი ეფ-ის საბჭოს ორივე წევრს, ნებისმიერ ქვემოთმოცემულ საკითხზე ან ისეთ დღის წესრიგზე, რომელიც მოიცავს ნებისმიერ ქვემოთმოცემულ საკითხს:

6.22.1 ანგარიში ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში;

6.22.2 ნებისმიერი საკითხი, რომელიც შესულია 5.14, 6.32, 7.4, 10.7, 10.8.2, 10.8.3, 10.25, 10.26, 10,29, 10.30, 10,31 და 10.32 პუნქტებში; და

6.22.3 სხვა საკითხები, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე წესდებით.

6.23 სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. 6.24 პუნქტისა და წესდების სხვა პუნქტების გათვალისწინებით, სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დამსწრე წევრების ხმების 100%-ით (ასი პროცენტით).

6.24 სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული გადაწყვეტილება:

6.24.1 უნდა გაფორმდეს წერილობით და ხელი მოეწეროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ, რომლებიც ესწრებიან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას; ან

6.24.2 შედგენილი და დამოწმებული უნდა იქნას ნოტარიუსის მიერ.

6.25 ქვემოთმოცემული გადაწყვეტილებები ექსკლუზიურად უნდა იქნას მიღებული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ:

6.25.1 ახალი აქციების (როგორც ეს ქვემოთ არის განსაზღვრული) გამოშვება ნებადართული სანესდებო კაპიტალის ფარგლებში;

6.25.2 10.3 პუნქტის თანახმად ნებისმიერი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ბიზნეს გეგმასთან და ბიუჯეტთან, ასევე იმ საკითხებთან, რომლებიც წინამდებარე წესდებით განსაზღვრული უნდა იყოს ბიზნეს გეგმაში და ბიუჯეტში ნებადართული სანესდებო კაპიტალის ფარგლებში;

6.25.3 ნებისმიერი გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც არ არის განხილული, დადგენილი, რეგულირებული ან შესული ბიზნეს გეგმაში ან ბიუჯეტში.

6.25.4 კომპანიის მიერ გაცემული ახალი აქციების გაუქმება, თუკი ამგვარი აქციები არ შეიძინეს აქციონერებმა წინამდებარე წესდების თანახმად;

6.25.5 ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;

6.25.6 იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომელიც კომპანიას გააჩნია დირექტორის(ების) და აქციონერების მიმართ და კომპანიის წარმოდგენა ნებისმიერი საქმის წარმოებაში (მათ შორის სასამართლო და საარბიტრაჟო) ნებისმიერი დირექტორის და აქციონერის წინააღმდეგ;

6.25.7 დივიდენდების განაწილების გეგმის დამტკიცება და ზარალის დაფარვის წესების განსაზღვრა;

6.25.8 წლიური შედეგების დამტკიცება, წლიური ანგარიშების დამტკიცება და კომპანიის აუდიტორული დასკვნები;

6.25.9 კომპანიასა და ნებისმიერ მხარეს შორის გარიგების დამტკიცება, რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერ აქციონერთან;

6.25.10 10.3.1 პუნქტის თანახმად წინამდებარე წესდების თანახმად კომპანიის დირექტორების დანიშვნა და გათავისუფლება;

6.25.11 ვალდებულებების უსაფრთხოების უზრუნველყოფა (მათ შორის დაპირებები, იპოთეკური სესხი, გარანტიები) თანხაზე, რომელიც აღემატება 10,000 აშშ დოლარს (ათი ათასი ამერიკული დოლარი);

6.25.12 უძრავი ქონების გასხვისება, შეძენა ან დატვირთვა;

6.25.13 კომპანიის, როგორც დამფუძნებელის ან წევრის მონაწილეობა კერძო სამართლის იურიდიულ პირებში;

6.25.14 აუდიტორის დანიშვნა;

6.25.15 თანხმობის გაცემა დივიდენდების განაწილებასთან და დივიდენდების განაწილების დაწყებასთან დაკავშირებით;

6.25.16 10.3 პუნქტის თანახმად ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის და ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის ფორმის დამტკიცება ისევე როგორც საკითხების, რომელიც უნდა შეიდეს ასეთ ანგარიშებში;

6.25.17 ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის და ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის დამტკიცება, რომელიც წარდგენილი უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოსათვის წინამდებარე წესდების შესაბამისად;

6.25.18 შესყიდვების პოლიტიკის, გაყიდვის და გაქირავების პოლიტიკის, საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის და კომპანიის ანგარიშგების პოლიტიკის დამტკიცება;

6.25.19 გენერალური კონტრაქტორის დამტკიცება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროექტის განხორციელებაზე; და

6.25.20 პროექტის ზემახედველის დამტკიცება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროექტის ზედამხედველობაზე.

6.26 ყველა და ნებისმიერი გარიგება, ხელშეკრულება, მემორანდუმი, დოკუმენტი, გადაწყვეტილება (ზეპირი და წერილობითი) დამტკიცებული უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ქვემოთ ჩამოთვლილიდან ნებისმიერის პირველად წარმოქმნამდე:

6.26.1 კომპანიის რეგისტრირებიდან პირველი 6 (ექვსი) თვის პერიოდის ამოწურვამდე;

6.26.2 ან სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერების მიერ საერთო კრების ბიზნეს გეგმის დამტკიცება რამდენადაც ეს შეიძლება მოითხოვონ წინამდებარე წესდების თანახმად.

6.27 ამ წესდების მიზნებისათვის, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში (**"ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში"**) ნიშნავს კომპანიის ფინანსური დირექტორის ან ნებისმიერი მესამე მხარის მიერ შედგენილ ყოველკვარტალურ ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად, სადაც დეტალურად იქნება წარმოდგენილი კომპანიის მიერ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი თითოეული გასული საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში იმ

ფორმით და პარამეტრებთან მიმართებაში, რომელსაც ითხოვს სამეთვალყურეო საბჭო ან აქციონერთა საერთო კრება წინამდებარე წესდების თანახმად.

6.28 6.25 პუნქტის მიზნებისათვის ნებისმიერი მესამე მხარე შეიძლება ჩაითვალოს, რომ დაკავშირებულია კომპანიის აქციონერებთან, თუ:

6.28.1 აქციონერი პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებს ასეთ მესამე მხარეს; ან

6.28.2 ასეთი მესამე მხარე აკონტროლებს აქციონერს; ან

6.28.3 აქციონერს და ასეთ მესამე მხარეს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს იგივე პირი ან პიროვნებათა ჯგუფი.

6.29 წინამდებარე წესდების მიზნებისათვის ახალი აქციები (**"ახალი აქციები"**) ნიშნავს ნებადართულ აქციებს, რომლებიც გაცემულია სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით და ჯერ არ შეუსყიდია ნებისმიერ აქციონერს. ნებისმიერი აქციონერისათვის ახალი აქციების გაცემისთანავე ეს აქციები აღარ წარმოადგენს ახალ აქციებს წინამდებარე წესდების მიზნებიდან გამომდინარე.

6.30 კომპანიას შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი გარიგება სამეთვალყურეო საბჭოს ექსკლუზიური კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე წესდების 6.25 პუნქტში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მიიღებს წინასწარ წერილობით თანხმობას სამეთვალყურეო საბჭოსაგან ასეთი გარიგების განხორციელების შესახებ.

6.31 აქსისი შეარჩევს და „ჯი სი ეფ"-ი დაამტკიცებს გენერალურ კონტრაქტორს აქციონერთა საერთო კრებაზე. ხოლო „ჯი სი ეფ"-ი შეარჩევს და აქსისი დაამტკიცებს პროექტის ზედამხედველს აქციონერთა საერთო კრებაზე. ასეთ დამტკიცებებზე არ უნდა განაცხადონ უსაფუძვლო უარი, ან შეაჩერონ ან დააყოვნონ.

6.32 სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებას აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ მიიღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

7. მართვა და წარმომადგენლობა

7.1 კომპანიას ჰყავს 2 (ორი) დირექტორი („**დირექტორი**"), რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო 2 (ორი) წლის ვადით.

7.2 წინამდებარე წესდების 10.31 პუნქტის და სხვა დებულებების თანხმად სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე „ჯი სი ეფ"-ის საბჭოს წევრებმა და აქსისის საბჭოს წევრმა ხმა უნდა მისცენ კომპანიის 1 (ერთი) დირექტორის (**"ფინანსური დირექტორი"**) სასარგებლოდ, რომელსაც დაასახელებენ „ჯი სი ეფ"-ის საბჭოს წევრები.

7.3 წინამდებარე წესდების 10.31 პუნქტის და სხვა დებულებების თანხმად სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე „ჯი სი ეფ"-ის საბჭოს წევრებმა და აქსისის საბჭოს წევრმა ხმა უნდა მისცენ კომპანიის 1 (ერთი) დირექტორის (**"გენერალური**

დირექტორი") სასარგებლოდ, რომელსაც დაასახელებს აქსისის საბჭოს წევრი, დირექტორები კომპანიას წარმოადგენენ ერთობლივად.

7.4 10.31 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს, დაითხოვოს ფინანსური დირექტორი, თუ ასეთი გათავისუფლება ინიცირებულია „ჯი სი ეფ"-ის მიერ. თუკი „ჯი სი ეფ"-ი ინიციატივას იჩენს ფინანსური დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, მაშინ „ჯი სი ეფ"-ის საბჭოს წევრებმა და აქსისის საბჭოს წევრმა ხმა უნდა მისცენ ფინანსური დირექტორის გათავისუფლების სასარგებლოდ სამეთვალყურეო საბჭოს შესაბამის სხდომაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, „ჯი სი ეფ"-ის საბჭოს წევრების ხმა საკმარისი იქნება ფინანსური კომპანიის დირექტორის გათავისუფლებისათვის.

7.5 10.31 პუნქტის გათვალისწინებით, სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს, დაითხოვოს გენერალური დირექტორი, თუ ასეთი გათავისუფლება ინიცირებულია აქსისის მიერ. 10.31 პუნქტის თანახმად თუკი აქსისი ინიციატივას იჩენს გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, მაშინ „ჯი სი ეფ"-ის საბჭოს წევრებმა და აქსისის საბჭოს წევრმა ხმა უნდა მისცენ გენერალური დირექტორის გათავისუფლების სასარგებლოდ სამეთვალყურეო საბჭოს შესაბამის სხდომაზე. 10.31 პუნქტის თანახმად აქსისის საბჭოს წევრების ხმა საკმარისი იქნება კომპანიის გენერალური დირექტორის გათავისუფლებისათვის.

7.6 7.13 პუნქტის თანახმად ქვემოთჩამოთვლილი საკითხები უნდა გადაწყვიტოს გენერალურმა დირექტორმა და ფინანსურმა დირექტორმა უნდა დაამტკიცოს წინასწარ წერილობით:

7.6.1 კომერციული ხელშეკრულებების გაფორმება მათ შორის, ხელშეკრულებების შეწყვეტა და ხელშეკრულებები კომპანიის სახელით და ისეთი ინსტრუმენტის გაცემა, რომელიც იურიდიულად სავალდებულოა კომპანიისათვის;

7.6.2 კომპანიის ფინანსური დოკუმენტების მომზადება და გაცემა, მათ შორის საბანკო ანგარიშების გახსნასთან და დახურვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; ბალანსი; კომპანიის ფინანსური ანგარიშები; და სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია კომპანიის საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოებისათვის;

7.6.3 კომპანიის საბანკო ანგარიშებიდან ფულის ყველა და ნებისმიერი სახის გადარიცხვა, გადახდა, გამოტანა ან სხვა სახის განკარგვა;

7.6.4 კომპანიის თანამშრომლების დანიშვნა, დაქირავება ან თანამდებობიდან გათავისუფლება;

7.6.5 კომპანიის თანამშრომლების ხელფასების დადგენა; და

7.6.6 აქციონერთა საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

7.7 თუ ფინანსური დირექტორი არ დაამტკიცებს ზემოთმოცემულ 7.6 პუნქტში ჩამოთვლილ რომელიმე პუნქტს და, აქედან გამომდინარე, დირექტორები ვერ შეთანხმდებიან ნებისმიერ ასეთ საკითხზე, მაშინ სამეთვალყურეო საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას ასეთ საკითხებთან დაკავშირებით დირექტორების ნაცვლად და განსაზღვრავს, თუ რომელი დირექტორია ვალდებული და უფლებამოსილი განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოს ასეთი გადაწყვეტილება კომპანიის სახელით და ასეთი დირექტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები, რომელიც მიღებულია 7.7 პუნქტის თანახმად და უნდა ჩაითვალოს, რომ გააჩნია სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება კომპანიის სახელით.

7.8 გენერალური დირექტორი პასუხისმგებელი იქნება კომპანიის ყოველდღიურ მართვაზე, იმოქმედებს ყოველთვის ბიზნეს გეგმის შესაბამისად და ბიუჯეტის ფარგლებში.

7.9 გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, გენერალური დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ:

7.9.1 კომპანიის მართვა ყოველთვის ხორციელდებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიზნეს გეგმის და ბიუჯეტის შესაბამისად და რომ კომპანია არ წარმოქმნის ისეთ ხარჯებს საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში, რომელიც არ შედის ბიუჯეტში და ბიზნეს გეგმაში;

7.9.2 აქციონერებისაგან მიღებული თანხები კაპიტალის შენატანის სახით ან აქციონერების მიერ ნებადართული ვალების სახით ბიუჯეტის თანახმად, გამოყენებული უნდა იქნეს ბიუჯეტში და/ან აქციონერთა საერთო კრების შესაბამის გადაწყვეტილებაში დადგენილი მიზნებისათვის;

7.9.3 ვალების სახით მიღებული ფულადი სახსრები არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის თანახმად ნებადართულ ვალებს; და

7.9.4 კომპანია ვალდებულია ნებისმიერ დროს აწარმოოს ზუსტი და სრული საბუღალტრო და სხვა ფინანსური ჩანაწერები, მათ შორის, საგადასახადო გაანგარიშებები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები და კორესპონდენცია, ყველა მოქმედი კანონის მოთხოვნების და ზოგადად საქართველოში აღიარებული საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად.

7.10 გენერალური დირექტორისაგან დამოუკიდებლად და განცალკევებულად, ფინანსურმა დირექტორმა უნდა:

7.10.1 მოამზადოს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში და ანგარიში ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ (როგორც ეს ქვემოთ არის განსაზღვრული); და

7.10.2 წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში და ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიში.

7.11 ფინანსური დირექტორი წარუდგენს ანგარიშს ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული საბიუჯეტო პერიოდის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. ეჭვის თავიდან აცილების მიზნით პირველი ანგარიში ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ უნდა მომზადდეს და წარდგენილი იქნას სამეთვალყურეო საბჭოსათვის კომპანიის პირველი უწყვეტი თანმიმდევრული 3 (სამი) საბიუჯეტო პერიოდების დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.12 ანგარიში ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ უნდა შეიცავდეს:

7.12.1 კომპანიის ფაქტიური საქმიანობის კუმულაციურ შედეგებს, როგორც ეს განსაზღვრულია ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშში ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის თითოეულ ძირითად პარამეტრთან მიმართებაში (როგორც ქვემოთ არის განსაზღვრული) უწყვეტი თანმიმდევრული 3 (სამი) საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში;

7.12.2 შედეგების შედარებას, რომელიც დადგენილია 7.12.1 პუნქტში ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის ძირითად პარამეტრებთან მიმართებაში, რომელიც განსაზღვრულია ბიზნეს გეგმაში დროის იმავე პერიოდისათვის.

7.13 მიუხედავად წინამდებარე წესდების ნებისმიერი სხვა პუნქტისა ფინანსური დირექტორი უფლებამოსილია გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ, კომპანიის ნებისმიერი ინფორმაცია და რესურსები მათ შორის კომპანიის ტექნიკური და ადამიანური რესურსები შემდეგი მიზნით:

7.13.1 ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის მომზადება, და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში;

7.13.2 ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენა სამეთვალყურეო საბჭოსათვის;

7.13.3 ნებისმიერ საკითხზე, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ეხება ბიუჯეტს, ბიზნეს გეგმას, ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშს ან ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშს.

7.14 ფინანსური დირექტორის უფლებები 7.13 პუნქტის თანახმად აღემატება გენერალური დირექტორის ყველა უფლებას.

7.15 დირექტორებმა უნდა განახორციელონ კომპანიის მართვა გონივრული წინდახედულებით, როგორც გონიერმა, ჩვეულებრივმა, სალად მოაზროვნე ადამიანმა, რომელსაც უკავია ასეთი პოზიცია, უნდა გააკეთოს და იმოქმედოს იმ ცნობიერებით, რომ მისი ქმედება მთლიანობაში ემსახურება კომპანიის საუკეთესო ინტერესებს.

7.16 გარიგებები, რომლებიც საჭიროებენ აქციონერთა საერთო კრების თანხმობას მე-5 პუნქტის შესაბამისად ან სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას მე-6 პუნქტის

შესაბამისად, უნდა დადონ და განხორციელონ დირექტორებმა მხოლოდ ასეთი თანხმობის მიღების შემდეგ.

7.17 წინამდებარე წესდების მიზნებისათვის ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის ძირითადი პარამეტრები ("ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის") ნიშნავს კომპანიის საქმიანობის ეფექტურობის ინდიკატორებს, რომლებიც დამტკიცებულია წინამდებარე წესდების თანახმად, რასთან მიმართებაშიც უნდა მომზადდეს კომპანიის ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიში.

8. ბიზნეს გეგმა

8.1 წინამდებარე წესდების მიზნებიდან გამომდინარე ბიზნეს გეგმა არის კომპანიის დამტკიცებული გეგმა წინამდებარე წესდების შესაბამისად, რომელიც უნდა შეიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილს იმ დროის მანძილზე, რომელიც დადგენილია 8.4 პუნქტში („ბიზნეს გეგმა"):

8.1.1 ყოველთვიური პროგნოზირებადი ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი, მათ შორის დეტალური კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტი და კაპიტალის და სასესხო კაპიტალის მოთხოვნების განსაზღვრა;

8.1.2 თვის დეტალური პროგნოზირებადი მოგებისა და ზარალის უწყისი;

8.1.3 დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის ფასების პოლიტიკას;

8.1.4 მართვის შესახებ ანგარიშში მოცემულია ბიზნესს მიზნები ფინანსური წლისათვის;

8.1.5 კომპანიის დაფინანსების დეტალური გეგმა საკრედიტო ხაზებით ან სააქციო კაპიტალში შენატანების მეშვეობით უნდა მოამზადონ აქციონერებმა;

8.1.6 საერთო აქციების ღირებულება ნომინალური ღირებულებით 1 აშშ დოლარი (ერთი ამერიკული დოლარი), რისი გაცემის უფლებამოსილებაც გააჩნია სამეთვალყურეო საბჭოს ბიზნეს გეგმაში განსაზღვრულ ვადებში; და

8.1.7 კომპანიის მიერ შემუშავებული დეტალური სამოქმედო გეგმა განსახორციელებელი ქმედებების ჩამონათვალთან ერთად, რომელიც აუცილებელია საკუთრების წარმატებული მშენებლობის, გაყიდვის და ექსპლუატაციისათვის.

8.2 სამეთვალყურეო საბჭო, ან სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე, კომპანიის ნებისმიერი დირექტორი ადგენს კომპანიის ბიზნეს გეგმას წინამდებარე წესდებაში განსაზღვრული ვადების და პირობების შესაბამისად.

8.3 თუ სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს ბიუჯეტს, რომელიც განსხვავდება ბიზნეს გეგმისაგან, მაშინ ჩაითვლება, რომ ასეთმა ბიუჯეტმა უნდა შეცვალოს ბიზნეს გეგმის ნაწილი შესაბამისი საბიუჯეტო პერიოდისათვის. შესაბამისად,

აქციონერებმა, სამეთვალყურეო საბჭომ და სხვა პირებმა უნდა იხელმძღვანელონ ასეთი ბიუჯეტით შესაბამისი საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში თავდაპირველი ბიზნეს გეგმის იმ ნაწილის სანაცვლად, რომელიც მოიცავს აღნიშნულ საბიუჯეტო პერიოდს.

8.4 პირველი ბიზნეს გეგმა უნდა დამტკიცდეს კომპანიის დაფუძნების დღიდან სულმცირე პირველი 8 (რვა) წლის ვადით თანმიმდევრულად და უწყვეტად. გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიღებული იქნა სხვა გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ყველა სხვა ბიზნეს გეგმა უნდა დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭომ ნინა ბიზნეს გეგმის ვადის გასვლიდან 8 (რვა) თანმიმდევრული და უწყვეტი წლის ვადით.

9. კომპანიის ბიუჯეტი

9.1 წინამდებარე წესდების მიზნებიდან გამომდინარე ბიუჯეტი („ბიუჯეტი") ნიშნავს დოკუმენტს, რომელშიც გაწერილია ბიზნეს გეგმის ყველა ელემენტი, რომელიც მითითებულია 8.1 და 9.4 პუნქტებში შესაბამისი საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში.

9.2 წინამდებარე წესდების მიზნებიდან გამომდინარე და აქციონერთა წერილობითი შეთანხმების თანახმად საბიუჯეტო პერიოდი ("საბიუჯეტო პერიოდი") გარდა პირველი საბიუჯეტო პერიოდისა, ნიშნავს ნებისმიერი ფინანსური წლის კალენდარულ კვარტალს. კომპანიის პირველი საბიუჯეტო პერიოდი უნდა განისაზღვროს პერიოდით კომპანიის პირველი ბიუჯეტის დამტკიცების დღიდან კალენდარული კვარტლის ბოლო დღემდე, როცა დამტკიცდა პირველი ბიუჯეტი.

9.3 სამეთვალყურეო საბჭო დაამტკიცებს ბიუჯეტს თითოეული საბიუჯეტო პერიოდისათვის შესაბამისი ბიუჯეტის პერიოდის დაწყებამდე 1 (ერთი) თვით ადრე.

9.4 ნებისმიერ ბიზნეს გეგმაში გათვალისწინებული ელემენტების გარდა ზემოთმოცემული მე-8 პუნქტის თანახმად ბიუჯეტში ასევე შესული უნდა იყოს:

9.4.1 ყველა სამშენებლო სამუშაოები ან მისი ნებისმიერი ნაწილი, რომელიც კომპანიამ უნდა მიიღოს ნებისმიერი კონტრაქტორისაგან ან ქვე-კონტრაქტორისაგან საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში; ან რომელიც კომპანიამ უნდა განახორციელოს საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ხარჯები და დანახარჯები, რომელიც კომპანიამ უნდა გაიღოს საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში;

9.4.2 კომპანიისათვის საჭირო თანხების ოდენობა კომპანიის ხარჯების დასაფინანსებლად ბიუჯეტის თანახმად, ხარჯების ნაწილი, რომელიც უნდა დაფინანსდეს კომპანიის საკრედიტო ხაზით და ხარჯების ნაწილი, რომელიც უნდა დაფინანსდეს აქციონერების მიერ კაპიტალში დამატებითი შენატანებით;

9.4.3 ახალი აქციების ღირებულება, რომელიც კომპანიამ უნდა გაყიდოს აქციონერებზე, ბიუჯეტის თანახმად კომპანიისათვის საჭირო კაპიტალის მოზიდვის მიზნით; და

9.4.4 სასურველი დრო ბიუჯეტის თანახმად დაფინანსების მისაღებად.

9.5 გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, თითოეულ ბიუჯეტში განსაზღვრული უნდა იყოს საერთო აქციების ოდენობა ნომინალური ღირებულებით 1 აშშ დოლარი (ერთი ამერიკული დოლარი), რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო გასცემს ბიუჯეტში მითითებულ ვადებში.

9.6 სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია შეიტანოს გარკვეული ელემენტები ბიუჯეტში 9.1 პუნქტში მოცემული ელემენტების გარდა ან გამორიცხოს 9.1 პუნქტში განსაზღვრული ზოგიერთი ელემენტი წინამდებარე წესდების შესაბამისად.

9.7 ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, რომელიც არ არის თავსებადი არსებულ ბიზნეს გეგმასთან, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა დაამტკიცოს ბიზნეს გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია დამტკიცებული ბიუჯეტის ყველა ელემენტი.

10. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ზრდა და აქციების განაწილება

10.1 ნებისმიერ დროს სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია გასცეს ახალი აქციები:

10.1.1 კომპანიის ნებადართული და გაუცემელი აქციების ლიმიტის ფარგლებში; და

10.1.2 ბიზნეს გეგმაში განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში წლის შესაბამისი კვარტლის განმავლობაში, როცა გაიცემა ახალი აქციები.

10.2 გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, თუ სამეთვალყურეო საბჭო ვერ ამტკიცებს ბიუჯეტს ნებისმიერი საბიუჯეტო პერიოდით, მაშინ სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილი უნდა იყოს გასცეს ახალი აქციების ის ოდენობა, რომელიც ნებადართულია ბიზნეს გეგმის თანახმად შესაბამისი საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში.

10.3 აქციონერებმა უნდა დაამტკიცონ კომპანიის პირველი ბიზნეს გეგმა, პირველი ბიუჯეტი, ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის პირველი ძირითადი პარამეტრები და ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის ფორმატი, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის ფორმატი კომპანიის დაფუძნების თარიღიდან პირველი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში. ყველა სხვა ბიზნეს გეგმა, ბიუჯეტი, ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის ძირითადი პარამეტრები, ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის ფორმატი, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის ფორმატი უნდა დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭომ წინამდებარე წესდების შესაბამისად.

10.4 წინამდებარე წესდების მიზნებისათვის ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიში ნიშნავს ყოველკვარტალურ ანგარიშს, რომელსაც ამზადებს და წარუდგენს ფინანსური დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს კომპანიის საქმიანობის ფაქტიური კუმულაციური შედეგების შესადარებლად ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის ძირითად პარამეტრებთან მიმართებაში გასული 3 (სამი) უწყვეტი თანმიმდევრული საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში, როგორც ეს ასახულია ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშებში ბიზნეს გეგმის შესაბამისი

ელემენტების მიმართ იმავე პერიოდის განმავლობაში (**"ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიში"**).

10.5 წინამდებარე წესდების ნებისმიერი სხვა პუნქტის მიუხედავად, თუ აქციონერები ვერ თანხმდებიან ნებისმიერ ქვემოთ მოცემულზე: პირველი ბიზნეს გეგმა, კომპანიის პირველი ბიუჯეტი, ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის პირველი ძირითადი პარამეტრები, ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის ფორმატი ან ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის ფორმატი ან კომპანიის დაფუძნების თარიღიდან პირველი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, აქსისი ვალდებულია ან:

10.5.1 დაეთანხმოს „ჯი სი ეფ"-ის მიერ შემოთავაზებულ პირველ ბიზნეს გეგმას, პირველ ბიუჯეტს, ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის პირველ ძირითად პარამეტრებს, ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის ფორმატს და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის ფორმატს; ან

10.5.2 აცნობოს „ჯი სი ეფ"-ს 10.5 პუნქტში განსაზღვრული 6 (ექვსი) თვიანი ვადის გასვლის შემდეგ არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში თავისი განზრახვა იყიდოს „ჯი სი ეფ"-ის მთელი აქციები ისეთ ფასად, რომელიც მოუტანს „ჯი სი ეფ"-ს 18% (თვრამეტი პროცენტი) რენტაბელობის შიდა ნორმას.

10.6 თუ 10.5 პუნქტში განსაზღვრული 6 (ექვსი) თვიანი ვადის გასვლის შემდეგ არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, აქსისი აცნობებს „ჯი სი ეფ"-ს თავის განზრახვას იმის თაობაზე, რომ გამოიყენოს 10.5.2 პუნქტის თანახმად მისთვის მინიჭებული უფლებები, მაშინ აქსისი ვალდებულია შეიძინოს და „ჯი სი ეფ"-ი ვალდებულია მიყიდოს „ჯი სი ეფ"-ის ყველა აქცია აქსისს ასეთი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ აქსისი გამოხატავს თავის განზრახვას „ჯი სი ეფ"-ის აქციების ყიდვასთან დაკავშირებით 10.5.2 პუნქტის შესაბამისად, მაგრამ ვერ გააკეთებს ამას 10.6 პუნქტში განსაზღვრული 2 (ორი) თვის ვადაში, „ჯი სი ეფ"-ს უფლება აქვს მოითხოვოს და მოთხოვნის შემთხვევაში აქსისი ვალდებულია გადაუხადოს ჯარიმა „ჯი სი ეფ"-ს, რომელიც უნდა იყოს ყველაზე დიდი ოდენობა ან: (ი) „ჯი სი ეფ"-ის აქციების "შეძენის ფასის 2% (ორ პროცენტი) როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთ 10.5.2 პუნქტში ან (ii) 200 000 აშშ დოლარი (ორასი ათასი ამერიკული დოლარი) დაუყოვნებლივ, მაგრამ ჯი სი ეფ-ისაგან ჯარიმის გადახდის მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

10.7 თუ აქსისი ირჩევს არ გამოიყენოს თავისი უფლებები 10.5.2 პუნქტის თანახმად ან აცნობებს „ჯი სი ეფ"-ს თავის განზრახვას „ჯი სი ეფ"-ის ყველა აქციის ყიდვასთან დაკავშირებით 10.5.2 პუნქტის თანახმად, მაგრამ ვერ შეიძენს ამ აქციებს 10.6 პუნქტში განსაზღვრულ 2 (ორი) თვის ვადაში, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება პასუხის არარსებობის გამო, თუმცა 19.4 პუნქტის გათვალისწინებით, პირველი ბიზნეს გეგმა, პირველი ბიუჯეტი, ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის ძირითადი პარამეტრები და ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის ფორმატი და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის ფორმატი უნდა დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭომ ხმათა უბრალო

უმრავლესობით. 10.7 პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე ქვორუმი სამეთვალყურეო საბჭოს სხდომისათვის შედგება სამეთვალყურეო საბჭო 2 (ორი) წევრისაგან.

10.8 თუ ორივე აქციონერის საკუთრებაში გაცემული აქციების ნომინალური ღირებულება აღწევს 34,000,000 აშშ დოლარს (ოცდათოთხმეტი მილიონი ამერიკული დოლარი), მაშინ წინამდებარე წესდების ნებისმიერი სხვა დებულების მიუხედავად:

10.8.1 19.4 პუნქტის თანახმად, „ჯი სი ეფ"-ი უფლებამოსილია გაზარდოს კომპანიის საწესდებო კაპიტალი.

10.8.2 19.4 პუნქტის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს, დაამტკიცოს ბიზნეს გეგმა და ბიუჯეტი ხმათა უბრალო უმრავლესობით;

10.8.3 19.4 პუნქტის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ქვორუმი შედგება სამეთვალყურეო საბჭოს 2 (ორი) წევრისაგან და სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია გამოსცეს ახალი აქციები კომპანიის გაზრდილი საწესდებო კაპიტალის ფარგლებში ხმათა უბრალო უმრავლესობით;

10.8.4 ახალი აქციების გაცემის შემდეგ, აქციონერებს უფლება აქვთ შეიძინონ ახალი აქციები კომპანიაში მათი აქციების პროპორციულად უშუალოდ ახალი აქციების გაცემამდე 10.8.3 პუნქტის თანახმად; და

10.8.5 „ჯი სი ეფ"-ს და სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიიღოს ზომები და ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტაციას აქსისის სახელით, რომელიც აუცილებელია ან სასურველია ამ 10.8 პუნქტის ეფექტური და სწრაფი განხორციელებისათვის, რომელიც გულისხმობს „ჯი სი ეფ"-ის და სამეთვალყურეო საბჭოს უფლებას დაარეგისტრიროს, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, წინამდებარე წესდების შესაბამისად, კომპანიის აქციონერთა აქციების წილის განაწილება სამეწარმეო რეესტრში ან შესაბამის აქციების რეგისტრატორში.

10.9 10.9 „ჯი სი ეფ"-ის და სამეთვალყურეო საბჭოს უფლებები, რომელიც გადმოცემულია 10.8 პუნქტში, ამოქმედდება საბიუჯეტო პერიოდის პირველივე დღიდან საბიუჯეტო პერიოდის შემდეგ, რომლის დროსაც ყველა გამოშვებული აქციის ნომინალურმა ღირებულებამ მიაღწია 34,000,000 აშშ დოლარს (ოცდათოთხმეტი მილიონი ამერიკული დოლარი).

10.10 10.10 კომპანიის მიერ 10.8 პუნქტის შესაბამისად გამოშვებული ახალი აქციები უნდა შესთავაზონ მხოლოდ აქციონერებს 10.8.4. პუნქტში განსაზღვრული ოდენობით. აქციონერი, რომელსაც სურვილი აქვს შეიძინოს ახალი აქციები ასეთი შემოთავაზების საფუძველზე, უნდა აცნობოს სამეთვალყურეო საბჭოს ახალი აქციების გამოცემის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ჩაითვლება, რომ აქციონერმა უარი განაცხადა ახალი აქციების შეძენაზე და სხვა აქციონერი

უფლებამოსილია შეიძინოს ასეთი ახალი აქციები. თუ ნებისმიერი აქციონერი უარს განაცხადებს ახალი აქციების შეძენაზე 10.10 პუნქტის შესაბამისად, მაშინ 10.20 პუნქტი აღარ გამოიყენება.

10.11 10.11 თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესდებით, ახალი აქციების გაცემიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, სამეთვალყურეო საბჭო აცნობებს აქციონერებს ახალი აქციების გაცემის შესახებ და უნდა გაუკეთოს მათ შეთავაზება ახალი აქციების შეძენასთან დაკავშირებით 10.13. პუნქტის შესაბამისად.

10.12 თუკი სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესდებით, ან აქციონერთა საერთო კრების წერილობითი ინსტრუქციით, სამეთვალყურეო საბჭომ არ უნდა შესთავაზოს ახალი აქციების ნებისმიერი ნაწილი ნებისმიერ მესამე მხარეს.

10.13 თუკი სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესდებით, ახალი აქციების გაცემისას, სამეთვალყურეო საბჭომ უდა შესთავაზოს:

10.13.1 „ჯი სი ეფ"-ს, რომ შეისყიდოს ახალი აქციების 85% (ოთხმოცდახუთი პროცენტი);

10.13.2 აქსისს, რომ შეიძინოს ახალი აქციების 15% (თხუთმეტი პროცენტი).

10.14 თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესდებით, „ჯი სი ეფ"-ს უფლება არა აქვს შეიძინოს ახალი აქციების 85%-ზე უფრო მეტი (ოთხმოცდახუთი პროცენტი).

10.15 თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესდებით, აქსისს უფლება არა აქვს შეიძინოს ახალი აქციების 15%-ზე (თხუთმეტი პროცენტი) უფრო მეტი.

10.16 თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესდებით, სამეთვალყურეო საბჭოსაგან 10.13 პუნქტის თანახმად გაკეთებული შეთავაზების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში ახალი აქციების შეძენასთან დაკავშირებით:

10.16.1 „ჯი სი ეფ"-ი შეისყიდის ახალი აქციების 85%-ს (ოთხმოცდახუთი პროცენტი); და

10.16.2 აქსისი შეისყიდის ახალი აქციების 15%-ს (თხუთმეტი პროცენტი).

10.17 თუკი ნებისმიერი საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტს, რომ არ გასცეს ახალი აქციები ან გადაწყვეტს გასცეს ახალი აქციების მხოლოდ ნაწილი, მას უფლება აქვს გასცეს წინამდებარე წესდების თანახმად, მაშინ სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია გასცეს უფლებამოსილი ახალი აქციების ასეთი გადაუხდელი თანხა ნებისმიერ სხვა საბიუჯეტო პერიოდში ახალი აქციების გარდა, რომელიც სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია გასცეს ბიზნეს გეგმის თანახმად ამ მეორე საბიუჯეტო პერიოდში.

10.18 თუ აქციონერების მიერ კომპანიის ახალი აქციების ნებისმიერი ოდენობის შეძენა გამოიწვევს ასეთი გაცემული აქციების განაწილებას აქციონერებს შორის, რომლის დროსაც „ჯი სი ეფ"-ი იქნება კომპანიაში გაცემული აქციების 50%-ზე მეტის (ორმოცდაათი პროცენტი) მფლობელი, მაშინ 10.13, 10.14, 10.15 და 10.16 პუნქტების ნაცვლად, აქციონერების მიერ ახალი აქციების შეძენასთან მიმართებაში ვრცელდება ქვემოთ მოცემული პუნქტები:

10.18.1 სამეთვალყურეო საბჭომ უნდა დაადგინოს ახალი აქციების ისეთი რაოდენობა ("ახალი აქციების გათანაბრებული წილი"), რომლის შედეგადაც 10.14 პუნქტის თანახმად „ჯი სი ეფ"-ისათვის გამოყოფილი იქნება კომპანიის გაცემული აქციების მაქსიმუმ 50% (ორმოცდაათი პროცენტი);

10.18.2 ახალი აქციების გათანაბრებული წილის შესაბამისი რაოდენობის გარდა თითოეულმა აქციონერმა უნდა შეიძინოს ახალი აქციების გათანაბრებულ წილზე ზემოთ დამატებითი ახალი აქციები 50%/50% პრინციპზე დაყრდნობით (ორმოცდაათი პროცენტი ორმოცდაათ პროცენტზე).

10.19 აქციონერების მფლობელობაში მყოფი გაცემული აქციების რაოდენობის გათანაბრების შემდეგ აქციონერებმა უნდა შეიძინონ კომპანიის მიერ გაცემული ახალი აქციების თანაბარი რაოდენობა.

10.20 იმ შემთხვევაში, თუ აქციონერები ვერ შეიძენენ ახალ აქციებს და ვერ მოახდენენ ანგარიშსწორებას სამეთვალყურეო საბჭოსაგან წინამდებარე წესდების თანახმად ახალი აქციების შეძენასთან დაკავშირებით გაკეთებული შეთავაზების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, მაშინ ასეთი აქციონერი ვალდებულია გადაუხადოს მეორე აქციონერს ერთობლივი ჯარიმა კაპიტალში ჩადებული თანხის ან ახალი აქციების ღირებულების 2%-ის (პროცენტი) ოდენობით, რომლის გადახდაც დამრღვევმა აქციონერმა ვერ მოახერხა. დამრღვევი აქციონერი პასუხისმგებელი იქნება ჯარიმის გადახდაზე წინამდებარე 10.20 პუნქტის თანახმად მხოლოდ მეორე (არა-დამრღვევი) აქციონერის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში.

10.21 თუ რომელიმე აქციონერი ხდება პასუხისმგებელი ჯარიმების გადახდაზე ზემოთმოცემული 10.20 პუნქტის თანახმად, მაშინ მეორე აქციონერი უფლებამოსილია დაარეგისტრიროს თავისი მფლობელობა ასეთი დამრღვევი აქციონერის წილთან მიმართებაში, რომელიც აქციების ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით შეესაბამება დამრღვევი აქციონერის მიერ მეორე აქციონერისათვის გადასახდელი ჯარიმის ოდენობის ჩათვლას წინამდებარე ზემოთმოცემული 10.20 პუნქტის თანახმად. წილთან მიმართებაში ასეთი რეგისტრაციის შემდეგ დამრღვევი აქციონერის მიმართ დარიცხული ჯარიმები ზემოთმოცემული 10.20 პუნქტის თანახმად გაუქმდება. თუ სხვა (არადამრღვევი) აქციონერი ირჩევს თავისი უფლებების გამოყენებას წინამდებარე 10.21 პუნქტის თანახმად, ასეთმა აქციონერმა უნდა აცნობოს დამრღვევ აქციონერს ამის შესახებ და ამგვარი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში დამრღვევი აქციონერი გადასცემს საკუთრებაში თავისი აქციების შესაბამის ოდენობას მეორე (არადამრღვევი) აქციონერს.

10.22 თუ აქციონერი, რომელიც გახდა ჯარიმების გადახდაზე პასუხისმგებელი ზემოთმოცემული 10.20 პუნქტის თანახმად არ გადასცემს თავის წილს სხვა აქციონერს ზემოთმოცემული 10.21 პუნქტის შესაბამისად, მაშინ ასეთი სხვა აქციონერი უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი და ყველა ზომები აქციონერის სახელით, რომელიც პასუხისმგებელია ჯარიმებზე ზემოთმოცემული 10.20 პუნქტის თანახმად, რომელიც საჭიროა არადამრღვევი აქციონერის სახელწოდების რეგისტრაციის მიზნით დამრღვევი აქციონერის აქციების შესაბამის თანხასთან მიმართებაში.

10.23 თუ პროექტის შემუშავების პროცესში: (i) წვლილი კომპანიის საწესდებო კაპიტალში, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე წესდებით აღარ არის საჭირო პროექტის დასრულების მიზნით სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიერ დადგენილი წესის თანახმად; და (ii) აქსისის აქციები კომპანიაში უფრო მეტია ვიდრე „ჯი სი ეფ"-ის აქციების მთლიანი ოდენობა; და (iii) პროექტის დასრულების მომენტისათვის „ჯი სი ეფ"-ის წვლილი კომპანიის საწესდებო კაპიტალში ნაკლებია, ვიდრე 5,000,000 აშშ დოლარი (ხუთი მილიონი ამერიკული დოლარი), მაშინ აქსისი მიყიდის „ჯი სი ეფ"-ს კომპანიის აქციებს იმ ოდენობით, რომელიც „ჯი სი ეფ"-ის წილსა და 5,000,000 აშშ დოლარს (ხუთი მილიონი) შორის სხვაობის თანაბარია. ასეთი გადაცემის მიზნებისათვის 1 (ერთი) წილის გათვალისწინება იქნება ნომინალური ღირებულების 1 (ერთი) წილი.

10.24 აქციონერები უზრუნველყოფენ, რომ მესამე პირის მიერ კომპანიისათვის გაცემული სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს 30,000,000 აშშ დოლარს (ოცდაათი მილიონი ამერიკული დოლარი) ნებისმიერ დროს; საქმიანობის შემდგომი დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნება კომპანიის აქციონერების მიერ კომპანიაში მათი აქციების პროპორციულად.

10.25 თუ კომპანიის საქმიანობის კუმულაციური შედეგების შედარება ზედიზედ 3 (სამი) საბიუჯეტო პერიოდისათვის ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის ძირითად პარამეტრებთან მიმართებაში იგივე ტიპის პარამეტრებთან, რომელიც გადმოცემულია ბიზნეს გეგმაში იგივე საბიუჯეტო პერიოდებთან მიმართებაში, გვიჩვენებს 10%-ს (ათი პროცენტი) ან კომპანიის საქმიანობის უფრო გაუარესებულ მაჩვენებლებს ბიუჯეტიდან გადახრის შესახებ ანგარიშის ძირითადი პარამეტრებთან მიმართებაში, მაშინ სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიიღოს სპეციალური დადგენილება ("სპეციალური დადგენილება") მისი წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით, რომლითაც ის მიუთითებს კომპანიის საქმიანობის მაჩვენებლების გაუარესების არსებობაზე და აცნობებს აქციონერებს ასეთი სპეციალური დადგენილების შესახებ. წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის, ამ 10.25 პუნქტის თანახმად, ქვორუმი სამეთვალყურეო საბჭო სხდომისათვის შედგება სამეთვალყურეო საბჭოს 2 (ორი) წევრისაგან. ეჭვის თავიდან აცილების მიზნით ეს 10.25 პუნქტი ექვემდებარება 19.4 პუნქტს.

10.26 10.29, 10.30 და 19.4 პუნქტების თანახმად, დაწყებული საბიუჯეტო პერიოდიდან, როდესაც გამოიცა სპეციალური დადგენილება ასეთი საბიუჯეტო პერიოდიდან 7 (შვიდი) კალენდარული წლის დასრულებამდე და მანამ, სანამ „ჯი სი ეფ"-ი გაყიდის თავის ყველა აქციას, რომელიც მოხდება პირველი:

10.26.1 სამეთვალყურეო საბჭოს ქვორუმი შედგება, თუკი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უბრალო უმრავლესობა ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას; და

10.26.2 სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი თავისი კომპეტენციის ფარგლებში თავისი წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

10.27 თუ სპეციალური დადგენილება გაიცემა კომპანიის დაფუძნებიდან 18 (თვრამეტი) თვის ვადაში, აქსისს უფლება აქვს მოსთხოვოს „ჯი სი ეფ"-ს, სპეციალური დადგენილების გაცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ყველა „ჯი სი ეფ"-ის აქციის მიყიდვა აქსისისათვის ისეთ ფასად, რომელიც უზრუნველყოფს „ჯი სი ეფ"-ს 19% (ცხრამეტი პროცენტი) შიდა მომგებიანობის კოეფიციენტს. თუ აქსისი უკუნებს ასეთ მოთხოვნას „ჯი სი ეფ"-ს წინამდებარე 10.27 პუნქტის თანახმად, მაშინ იგივე 1 (ერთი) თვის ვადაში აქსისმა და „ჯი სი ეფ"-მა უნდა გააფორმონ წერილობითი შეთანხმება, რომლის თანახმად:

10.27.1 აქსისმა უნდა შეიძინოს „ჯი სი ეფ"-ის ყველა აქცია ისეთ ფასად რომელიც უზრუნველყოფს „ჯი სი ეფ"-ს 19% (ცხრამეტი პროცენტი) შიდა მომგებიანობის კოეფიციენტს;

10.27.2 10.27.1 პუნქტში განსაზღვრული ფასი უნდა გადაუხადოს აქსისმა „ჯი სი ეფ"-ს 5 (ხუთი) თვის ვადაში, რომელიც დაიწყება სპეციალური დადგენილების მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადის გასვლის შემდეგ; და

10.27.3 10.27.1 პუნქტში განსაზღვრული ფასი გადასახდელია „ჯი სი ეფი"-სათვის „ჯი სი ეფ"-ის აქციების აქსისის სახელზე გადაფორმებამდე.

წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული მიზნებისათვის შიდა მომგებიანობის კოეფიციენტი ნიშნავს კუმულაციურ წლიურ შიდა უკუგებას (შიდა მომგებიანობის კოეფიციენტი), სადაც „ჯი სი ეფ"-ის მიერ შეტანილი და განაწილებული ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულება აშშ დოლარში ნულის ტოლია. შიდა უკუგება იზომება ერთობლივ საწარმოში „ჯი სი ეფ"-ის მიერ გაკეთებული პირველი ფულადი კაპიტალის შენატანის დღიდან და „ჯი სი ეფ"-ის მიერ გაკეთებული მთელი ფულადი კაპიტალის შენატანით (როგორც უარყოფითი ციფრები) და „ჯი სი ეფ"-ისათვის მთელი ფულადი სახსრების განაწილებით (როგორც პოზიტიური ციფრები) ნაღდი ფულადი სახსრების ჩათვლით, რომელიც მიღებული იქნა „ჯი სი ეფ"-ის მიერ დივიდენდების სახით და / ან „ჯი სი ეფ"-ის აქციების ნებისმიერი რაოდენობის გაყიდვის შედეგად (როგორც დადებითი ნომრები), და ყოველივე ამასთან დაკავშირებული დროის გათვალისწინებით. შიდა უკუგება უნდა იყოს ნომინალური შიდა უკუგების ნორმა გადასახადის გადახდის შემდეგ ერთობლივ საწარმოში (გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მიმღების ხელში გადასახადის გადახდამდე), რომელიც გამოითვლება გარიგებულებულად. (გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით შიდა უკუგება დაიანგარიშება იმ დღესთან მიმართებაში, როდესაც განხორციელდა გადახდა „ჯი სი ეფ"-ისათვის წინამდებარე აქციონერთა ხელშეკრულების ან მხარეებს შორის ნებისმიერი სხვა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე

10.28 თუ აქსისი მოითხოვს „ჯი სი ეფ"-ისაგან მისი მთელი აქციების მიყიდვას აქსისისათვის 10.27 პუნქტის თანახმად, მიუხედავად ამისა, აქსისი ვერ შეიძენს „ჯი სი ეფ"-ის აქციებს 10.27.2 პუნქტში განსაზღვრულ 5 (ხუთი) თვის ვადაში, მაშინ „ჯი სი ეფ"-ის მოთხოვნისამებრ აქსისი ვალდებული იქნება გადაიხადოს ჯარიმა, რომელიც არის ყველაზე დიდი ოდენობა ან (i)10.27 პუნქტში განსაზღვრული „ჯი სი ეფ"-ის წილის შესაძენი ფასის 2% (ორ პროცენტი) ან (ii) 200, 000აშშ დოლარი (ორასი ათასი ამერიკული დოლარი). აქსისმა უნდა გადაუხადოს ჯარიმა „ჯი სი ეფ"-ს წინამდებარე 10.28 პუნქტის თანახმად 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში იმ დღიდან, როცა „ჯი სი ეფ"-მა მოითხოვს ამგვარ გადახდას. თუ აქსისი ვერ გადაიხდის ჯარიმას წინამდებარე 10.28 პუნქტის თანახმად დადგენილ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, მაშინ „ჯი სი ეფ"-ის მოთხოვნისამებრ აქსისი ვალდებული იქნება გადაიხადოს დამატებითი ჯარიმა დაგვიანებული გადახდის გამო ნელინადში 17% (ჩვიდმეტი პროცენტი) გართულებული საპროცენტო განაკვეთით წინამდებარე 10.28 პუნქტში განსაზღვრული ჯარიმის გადაუხდელ ნაწილზე.

10.29 19.4 პუნქტის თანახმად და წინამდებარე წესდების ნებისმიერი სხვა პუნქტის მიუხედავად, თუ სპეციალური დადგენილება გაიცემა კომპანიის დაფუძნებიდან 18 (თვრამეტი) თვის ვადაში და აქსისი მოითხოვს, რომ „ჯი სი ეფ"-მა მიყიდოს თავისი ყველა აქცია აქსისს 10.27 პუნქტის თანახმად, მაგრამ აქსისი ვერ შეძლებს ასეთი აქციების შეძენას არაუგვიანეს სპეციალური დადგენილების გაცემიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, მაშინ წინამდებარე 10.29 პუნქტში განსაზღვრული 3 (სამი) თვის ვადის გასვლიდან 7 (შვიდი) კალენდარული წლის დასრულებამდე ან მანამ, სანამ „ჯი სი ეფ"-ი გაყიდის თავის ყველა აქციას, იმის მიხედვით, თუ რა მოხდება პირველი:

10.29.1 სამეთვალყურეო საბჭოს ქვორუმი შედგება, თუკი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უბრალო უმრავლესობა ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას; და

10.29.2 სამეთვალყურეო საბჭოს უფლება ექნება მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერ და ყველა საკითხთან დაკავშირებით თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

10.30 19.4 პუნქტის თანახმად და წინამდებარე წესდების ნებისმიერი სხვა პუნქტის მიუხედავად, თუ სპეციალური დადგენილება გაიცემა კომპანიის დაფუძნებიდან 18 (თვრამეტი) თვის ვადაში და აქსისი არ მოითხოვს, რომ „ჯი სი ეფ"-მა მიყიდოს თავისი ყველა აქცია აქსისს 10.27 პუნქტის თანახმად, მაშინ წინამდებარე 10.27 პუნქტში განსაზღვრული 1 (სამი) თვის ვადის გასვლიდან 7 (შვიდი) კალენდარული წლის დასრულებამდე ან მანამ, სანამ „ჯი სი ეფ"-ი გაყიდის თავის ყველა აქციას, იმის მიხედვით, თუ რა მოხდება პირველი:

10.30.1 სამეთვალყურეო საბჭოს ქვორუმი შედგება, თუკი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უბრალო უმრავლესობა ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას; და

10.30.2 სამეთვალყურეო საბჭოს უფლება ექნება მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერ და ყველა საკითხთან დაკავშირებით თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

10.31 გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, 10.25 პუნქტში გადმოცემული გარემოებების დროს, სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება თავისი შეხედულებისამებრ, გენერალური დირექტორის გათავისუფლების და ნებისმიერი პირის დანიშვნის შესახებ (მიუხედავად იმისა, აქსისის მიერ არის წარდგენილი თუ არა) გენერალური დირექტორის თანამდებობაზე და მიიღოს ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება თავისი შეხედულებისამებრ, სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში ხმათა უბრალო უმრავლესობით. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ეს 10.31 პუნქტი ექვემდებარება 19.4 პუნქტს.

10.32 თუ აქსისი ვერ შეიძენს „ჯი სი ეფ"-ის აქციებს ოფციონის („Put Option" - საფონდო ბაზრის ინსტრუმენტი, რომელიც ანიჭებს მფლობელს უფლებას და არა ვალდებულებას) შესაბამისად, რომელიც შესულია აქციონერთა ხელშეკრულებაში, მაშინ დაწყებული საბიუჯეტო პერიოდიდან, რომლის დროსაც ასეთი შეუსრულებლობა წარმოიქმნა ასეთი საბიუჯეტო პერიოდის დაწყებიდან 7 (შვიდი) კალენდარული წლის დასრულებამდე და მანამ, სანამ „ჯი სი ეფ"-ი გაყიდის ყველა თავის აქციას, იმის მიხედვით, თუ რა მოხდება პირველი:

10.32.1 სამეთვალყურეო საბჭოს ქვორუმი შედგება, თუკი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უბრალო უმრავლესობა ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას; და

10.32.2 სამეთვალყურეო საბჭოს უფლება ექნება გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი თავისი კომპეტენციის ფარგლებში თავისი წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ეს 10.31 პუნქტი ექვემდებარება 19.4 პუნქტს.

10.33 აქსისს უფლებას აძლევს „ჯი სი ეფ"-ს იმოქმედოს აქსისის სახელით (მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ დოკუმენტების ხელმოწერით), რათა განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც აქსისი ვალდებულია განახორციელოს ამ მე-10 პუნქტის თანახმად. გარდა ამისა, წინამდებარე დოკუმენტში შეთანხმებულია, რომ აქსისი განახორციელებს ნებისმიერ და ყველა საქმიანობას, რომელიც განსაზღვრულია ამ პუნქტში, მათ შორის შეზღუდვის გარეშე წილის გადაცემის ფორმების მიწოდებას და ნებისმიერი სხვა თანხმობის მიცემას, დამტკიცებას ან ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებას, საჭიროების მიხედვით და თუკი მიზანშეწონილია „ჯი სი ეფ"-ისათვის წინამდებარე დოკუმენტის თანახმად მინიჭებული უფლებების განხორციელების მიზნებისათვის „ჯი სი ეფ"-ის მოთხოვნის მიხედვით ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ თავისი უფლებების გამოსაყენებლად.

10.34 ახალი აქციების გაცემის დამტკიცების დღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში აქსისი უზრუნველყოფს „ჯი სი ეფ"-ისათვის ყველა დოკუმენტის მიწოდებას, რომელიც შესაძლოა საჭირო იყოს კომპანიის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაციის მიზნებისათვის სამეწარმეო რეესტრში ან წილის რეგისტრატორში ამ მუ-10 პუნქტის ნებისმიერი ნაწილის განხორციელების გამო. გარდა ამისა, აქსისი მიიღებს ყველა აუცილებელ და მიზანშეწონილ ზომებს „ჯი სი ეფ"-ის ან სამეთვალყურეო საბჭოს უფლებების განსახორციელებლად წინამდებარე წესდების თანახმად.

